საიდ. №72490/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №112-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ლ. კერესელიძე, გ. დუდუჩავა, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ზე პროქტერ & გემბლ კომპანი” (The Procter & Gamble Company) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №112-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 მაისის №543/03 ბრძანების სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „PODS” (საიდ. №72490/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-3 და მე-5 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 მაისის №543/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „PODS" მსგავსია კომპანია „უნილევერ ნ.ვ."-ს სახელზე მე-3 და მე-5 კლასების მსგავსი საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნებისა „POND'S" (რეგ. №2296, რეგ. თარ. 1996-06-10), "POND'S" (რეგ. №2297, რეგ. თარ. 1996-06-10), „POND'S PERFORMANCE" (რეგ. №13522, რეგ. თარ. 2000-10-10), "POND'S INTENSIVE CARE" (რეგ. №2355, რეგ. თარ. 1996-06-12) და „POND'S" (რეგ. №21281, რეგ. თარ. 2011-03-15). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „ზე პროქტერ & გემბლ კომპანი" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავება, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. აპელანტის პოზიციით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საერთო შთაბეჭდილება საკმაოდ განსხვავებულია. კომპანია "Unilever N.V"-ს სახელზე უფრო ადრეული პრიორიტეტით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები, განსაკუთრებით კი "POND'S" (რეგ. №2296), რომელიც დამატებით ფიგურულ ელემენტებს შეიცავს, ნიშანი "POND'S PERFORMANCE" (რეგ. №13522), რომელიც დამატებით სიტყვიერ ელემენტს მოიცავს და ასევე, ნიშანი „POND'S INTENSIVE CARE" (რეგ. №2355) გადმოსცემენ განსხვავებულ კონცეფციას და არ შეიძლება ჩაითვალოს განცხადებული ნიშნის აღრევის შესაძლებლობამდე მსგავსად. აპელანტის მითითებით, ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება მის მიერ განცხადებული ნიშნისაგან, როგორც ვიზუალურად ასევე, ფონეტიკურად,

შესაბამისად, აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობაც ძალზედ მცირეა. აპელანტის განმარტებით, განსხვავებულია ასევე, სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ფარავს საქონელს მე-3, მე-5 და მე-11 კლასებიდან. განცხადებული ნიშნის მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს სარეცხ საშუალებებს, მაშინ როდესაც დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი მე-3 კლასში ფარავს მხოლოდ საქონელს პირადი ჰიგიენისათვის. აპელანტის პოზიციით, ნიშანი "PODS" მე-3 კლასის საქონლისათვის განკუთვნილია ქსოვილის/ნაჭრის მოვლისათვის. ნიშანი "PODS" უკვე გამოიყენება აპელანტის კუთვნილ მთავარ ბრენდთან "ARIEL" ერთად დასავლეთ ევროპაში. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს, აპელანტის მითითებით, აღნიშნული ნიშნები ფართოდ არის გავრცელებული და გამოიყენება მხოლოდ პირადი ჰიგიენისა და მოვლის საშუალებებისათვის. შესაბამისად, აპელანტი მიიჩნევს, რომ საქონლის ჩამონათვალი მე-3 კლასში საკმაოდ განსხვავებულია და მისი გამიჯვნა შესაძლებელია ისეთნაირად, რომ არ მოხდეს აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. აპელატი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი კუთვნილი სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი "PODS" და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი "POND'S PERFORMANCE" მე-3 კლასის საქონლისათვის თანაარსებობს შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ბენელუქსის ქვეყნები, დანია, ლატვია, ლიტვა. აპელანტის განმარტებით, სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი "PODS" და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები "POND'S" სხვადასხვა შესრულებით თანაარსებობენ შემდეგ ქვეყნებში: ევროკავშირი, შვეიცარია, ხორვატია, ყაზახეთი, აშშ, სერბეთი, იაპონია, ვიეტნამი, რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, მაროკო, ლიბანი, იორდანია. სტილიზებული სასაქონლო ნიშანი "PODS" თანაარსებობს მრავალ სასაქონლო ნიშანთან "POND'S" მე-3 კლასის საქონლისათვის შემდეგ ქვეყნებში: პანამა, პერუ, კოლუმბია, არგენტინა, ჩილე და ასევე, მე-3 და მე-5 კლასის საქონლისათვის შვეიცარიაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 მაისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის

ნაწილის მიმართ №543/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „PODS” (საიდ. №72490/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი “PODS“ და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები “POND’S”, “POND’S PERFORMANCE”, „POND’S INTENSIVE CARE” წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად და ფონეტიკურად. კერძოდ ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. მართალია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „POND’S” (რეგ. №2296) განცხადებული სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავებით შეიცავს დამატებით აპოსტროფს, „N” ასოს და გამოსახულებას, მაგრამ აღნიშნული ელემენტები ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ამასთან, მართალია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები “POND’S PERFORMANCE” - „POND’S INTENSIVE CARE” დამატებით შეიცავენ სიტყვებს „PERFORMANCE”, „ INTENSIVE”, “CARE”, მაგრამ ნიშანში ისინი სუსტ ელემენტებს წარმოადგენენ, შესაბამისად ვერ სძენენ ნიშნებს საკმარის განსხვავებას. დაპირისპირებულ ნიშნებში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს სიტყვა “POND’S”, რომელიც აღრევამდე მსგავსია განცხადებული სასაქონლო ნიშნისა. ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული

სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „პოდს", ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, როგორც „პონდს", „პონდს ინტენსივ ქეა", „პონდს პერფომანს".

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული ნიშნების მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს მხოლოდ საქონელს პირადი ჰიგიენისთვის. კოლეგიას მიაჩნია, რომ რეგისტრირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალში მითითებულია „საპონი". გარდა პირადი ჰიგიენისა საპონს ასევე, მოიცავს „მათეთრებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები", რომელიც განცხადებული ნიშნის ჩამონათვალშია მითითებული. გარდა ამისა, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის საქონლის ჩამონათვალიც შეიცავს „საპონს". განცხადებული ნიშნის მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვლის ნაწილი: „წმენდის, გაპრიალების, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დამუშავების" აღრევამდე მსგავსია რეგისტრირებული ნიშნების მე-3 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის. ისევე როგორც მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის, რადგან წარმოდგენილი ნიშნის მე-5 კლასის საქონელი: „ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების დიეტური ნივთიერებები, ბავშვთა კვება; სალბუნები, სახვევი მასალა; კბილის დასაბჟენი, კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა; მადეზინფიცირებელი საშუალებები; მავნე ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები" მოიცავს და მსგავსია რეგისტრირებული ნიშნის მე-5 კლასის საქონელს, კერძოდ: „საკვები დანამატები; საკვები ნივთიერებები, განკუთვნილი კოსმეტიკური მოვლისა და ჯანმრთელობისათვის; ვიტამინები და მინერალური პრეპარატები; საკვები ნივთიერებები, რომლებიც შეიცავენ ვიტამინებს და/ან მინერალურ პრეპარატებს, განკუთვნილს კოსმეტიკური მოვლისა და ჯანმრთელობისათვის; მცენარეული დანამატები და მცენარეული ექსტრაქტები; ბავშვთა კვება; ჰიგიენური პროდუქტები და პრეპარატები; დეოდორანტები და ჰაერის გამახალისებელი პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების პრეპარატები კანისა და თმის მოვლისათვის; სამედიცინო დანიშნულების პრეპარატები ტუჩებისათვის; პრეპარატები მზის დამწვრობის მკურნალობისა და შემსუბუქებისათვის; სამედიცინო დანიშნულების ვაზელინები; მადეზინფიცირებელი და ანტისეპტიკური

საშუალებები; კბილის ცვილები; ბანდაჟები, სალბუნები, სახვევი მასალები". განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის მსგავსი ჩამონათვალი კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის „PODS" (საიდ. №72490/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ზე პროქტერ & გემბლ კომპანი" (The Procter & Gamble Company) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 მაისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №543/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

(მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	ი. მუღალაშვილი
	ლ. კერესელიძე